

# სააპელაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისი სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

*შტამპის ადგილი*

## აპელანტი: *შენიშვნა-1*

საქართველოს მთავარი პროკურატურა — თბილისი, გ. გორგასლის ქ №24

სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3* | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

## აპელანტის წარმომადგენელი: *შენიშვნა-4*

პაპუნა კერესელიძე — თბილისი, გ. გორგასლის ქ №24

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორი
თბილისი, გ. გორგასლის ქ №24

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| | 2405713 | 599430605 | | |

## მოწინააღმდეგე მხარე: *შენიშვნა-5*

გიორგი კლდიაშვილი — 01017005502 — ქ. თბილისი, ნიაღვის ქ №4 ბ. №18

სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| | | 599770100 | | |

## საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა

*შენიშვნა-8*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

# ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲡᲘᲐ

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შენიშვნა-9

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

# ᲒᲐᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

შენიშვნა 11

სასამართლოს დასახელება: თბილისის საქალაქო სასამართლო
განმხილველი მოსამართლე: თამარ ონიანი
საქმის ნომერი: 3/807-15
მიღების თარიღი: 23.06.2015

## ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑ:

ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ☒

ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ☐

რომელ ნაწილში?

## ᲡᲐᲐᲞᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ:

შენიშვნა-12

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით უარი ეთქვას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

შენიშვნა-13

# გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

*შენიშვნა 14 შენიშვნა-15*

1. ფაქტობრივი უსწორობა

მტკიცებულება:

2. ფაქტობრივი უსწორობა

მტკიცებულება:
ა.

# ახალი ფაქტობრივი გარემოებები

*შენიშვნა-16 შენიშვნა-17 შენიშვნა-18*

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

# გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-19

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- ☐ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- ☐ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- ☒ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- ☒ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- ☐ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- ☐ საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება:

# გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შენიშვნა-20 შენიშვნა-21

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მოსარჩელის სასარგებლოს სოლიდარულად დაეკისრა მორალური ზიანის 2,000 (ორი ათასი) ლარისა და მატერიალური ზიანის 1,180.00 (ათას ას ოთხმოცი) ლარის ანაზღაურება, მიგვაჩნია რომ მიღებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 1005-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. აღნიშნული მუხლების დეფინიცია ცხადყოფს, რომ პირს ზიანი უნდა მიადგეს ქმედების განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმით, ამასთან მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს-ზიანს შორის. ასევე მოხელის უკანონო ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურეობრივი მდგომარეობიდან და იყოს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი და უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა დამდგარ შედეგს შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, აღნიშნულს ადგილი არ ქონია.

სასამართლოს ყურადღება გვინდა გავამახვილოთ შემდეგ გარემოებაზე: სისხლისამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იძულების ღონისძიებები ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს - საზოგადოების, მისი წევრების უსაფრთხოების დაცვას, ამასთან, წინასწარ ვერ განისაზღვრება კონკრეტული საქმის შედეგი, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარისობის კუთხით წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას.

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს არამატერიალური (მორალური) ზიანისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს ამავე კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს იმ საფუძვლებს, რომლის ხელყოფის დროსაც პირს უფლება აქვს მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება.

კანონი არ მიუთითებს მორალური ზიანის ოდენობაზე, მორალური ზიანის ანაზღაურების თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია, დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა პირობაზე, ამასთან, ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება დამოუკიდებლად. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა ასაკი, მატერიალური მდგომარეობა, საზოგადოებრივი აქტივობა, ცხოვრების პირობები, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა.

სასამართლოს ყურადღება გვინდა გავამახვილოთ, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაზე, კერძოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 27 ნოემბერს გამოტანილი გადაწყვეტილებით, საქმეზე „ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი № 6358887/05), სადაც დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა, რაც უკავშირდება სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში შეფარდებული წინასწარი პატიმრობის საფუძვლიანობას, მოპასუხე სახელმწიფოს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით დაეკისრა 600.00 (ექვსასი) ევროს გადახდა და კასრაძე საქართველოს წინააღმდეგ საქმეში, აღიარებულ იქნა კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების დარღვევა. კონვენციის მე-6 მუხლი ეხებოდა მის მიმართ მიღებულ უკანონო განაჩენს, რის საფუძველზეც მსჯავრდებულმა პატიმრობაში გაატარა 7 წელი, კომპენსაციის სახით კი შეთავაზებული იქნა 4 000 (ოთხი ათასი) ევრო.

რაც შეეხება საქართველოს საერთო სასამართლოებში დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას საორიენტაციოდ დავასახელებთ რამდენიმე გადაწყვეტილებას, კერძოდ: 1) კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 სექტემბრის №3/1237-13 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მორალური (არამატერიალური) ზიანის ანაზღაურება განისაზღვრა 500.00 (ხუთასი) ლარის ოდენობით. მოსარჩელე ლ. ჩ-ს მიმართ გამოძიება მიმდინარეობდა დაახლოებით 07 წლის განმავლობაში, ხოლო აღკვეთის ღონისძიების სახით მის მიმართ გამოყენებული იქნა პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა და ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. 2) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ნოემბრის №3/2827-14 გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის №3ბ/1637-14 განჩინებით), რომლის მიხედვითაც მორალური (არამატერიალური) ზიანის ანაზღაურება განისაზღვრა 4,200 (ოთხი ათას ორასი) ლარის ოდენობით, მოსარჩელე გ. ბ-მ პენიტენციურ დაწესებულებაში გაატარა 07 თვე. 3) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 მაისის №3/4964-14 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მორალური (არამატერიალური) ზიანის ანაზღაურება განისაზღვრა 2,000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, მოსარჩელე დ. ა-მ პენიტენციურ დაწესებულებაში გაატარა 04 თვე. 4) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივნისის №3/5136-14 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მორალური (არამატერიალური) ზიანის ანაზღაურება განისაზღვრა 8,000 (რვა ათასი) ლარის ოდენობით, მოსარჩელე თ. ა-მ პენიტენციურ დაწესებულებაში გაატარა 08 თვე. 5) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 აპრილის №3/659-14 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მორალური (არამატერიალური) ზიანის ანაზღაურება განისაზღვრა 5,000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, მოსარჩელე თ. თ-მ პენიტენციურ დაწესებულებაში გაატარა 07 თვე. 2013 წლის 13 სექტემბრის №3/1237-13 და 2014 წლის 11 ნოემბრის №3/2827-14 გადაწყვეტილებებით ფაქტიურად პატიმრობაში გატარებული თითო თვე სასამართლოს მიერ უხეშად რომ ვთქვათ „შეფასებულია" 500 და 600 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა გადაწყვეტილებებით, კი ათასი ლარის ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე გ. კლდიაშვილმა დროებითი მოთავსების იზოლატორში გაატარა 2 არასრული დღე და მისთვის საკომპენსაციო თანხა სასამართლომ განსაზღვრა 2,000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, რაც ჩვენი მოსაზრებითა და ზემოთმითითებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეუსაბამოდ მაღალ ოდენობას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივნისის №3/807-15 გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით უარი ეთქვას მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

# მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

| | | |
|---|---|---|
| მოწმე | ფაქტ. გარემოება(ები) | საპატიო მიზეზი |
| ექსპერტი | ფაქტ. გარემოება(ები) | საპატიო მიზეზი |
| სპეციალისტი | ფაქტ. გარემოება(ები) | საპატიო მიზეზი |

შენიშვნა-23

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შენიშვნა-24

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

# სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

**დიახ** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

**არა** ☒

**საჩივრის ფასი** — ლარი
შენიშვნა-28
**სახელმწიფო ბაჟი** — ლარი
შენიშვნა-29

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☒ არა ☐
რომელი ნორმა? „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის შესაბამისად.
მტკიცებულება:
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:
5.

შენიშვნა-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:
**არა** ☒ რადგან

შენიშვნა 31

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-32

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
10 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
ó სხდომაში რადგან

შენიშვნა-33

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

**დიახ** ☒

**არა** ☐ რადგან

შენიშვნა-34

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?
ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-35

# თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა 36 შენიშვნა-37

ფურცლების საერთო რაოდენობა: 10

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

# საააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

| | | დიახ | არა |
|---|---|---|---|
| 1. | მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი. | ☐ | ☐ |
| 2. | მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი). | ☐ | ☐ |
| 3. | მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. | ☐ | ☐ |
| 4. | მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები. | ☐ | ☐ |
| 5. | მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება. | ☐ | ☐ |
| 6. | მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული. | ☐ | ☐ |
| 7. | მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა. | ☐ | ☐ |
| 8. | მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა. | ☐ | ☐ |
| 9. | სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული. | ☐ | ☐ |
| 10. | სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე. | ☐ | ☐ |
| 11. | მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. | | |
| 12. | სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს). | ☐ | ☐ |
| 13. | სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია. | ☐ | ☐ |
| 14. | სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში. | ☐ | ☐ |

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის*

| სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია: | სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული: | *ხელმოწერა* | *სახელი და გვარი* |
|---|---|---|---|
| ☐ | ☐ *პუნქტების ჩამონათვალი* | | |

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |
|---|---|---|
| [signature] | პაპუნა კერესელიძე | 22.09.2015 |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-38

**საქართველოს პროკურატურა**
საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24

**Prosecutor's Office of Georgia**
Georgia, Tbilisi, 0114 Gorgasali str., 24

13/59775

სახელმწიფოებრივ
2 3 -09- 2015
R 784/9

[illegible]

[illegible] 6.